წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

შაბათი, 17 სექტემბერი

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანა გვერდზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეთ მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 439 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 439

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებაში მყოფნი მშობლები სამსონ ეგნატეს ძე ბაბუნაშვილი და მეუღლე მისი ისაკია სიმონის ასული, შვილები მათი ალექსანდრე და თამარა, რძალი აგრაფინა ალექსანდრე დარჩიას ასული და შვილები მისი ლია, მილიცადა, გლავირა, დისწულები გარდაცვალებულისა ჩიტო, ეორეიკა გიორგის ძე და ასული ჩაჩუები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ტრაღიკულათ დაღუპვას 11 ამი თვეს, ველოსიპედით სეირნობის დროს ფერმის ქუჩაზე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

## სერგო (ბუჩა) სამსონის ძის ბაბუნაშვილისას.

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ოღასკურის სასაფლაოზე 18 სექტემბერს, დღით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოასვენებენ მესამე ალექსანდროვის ქუჩიდან, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზე. ცალკე წერილები არ დარიგდება. 309—3—1

---

ქვრივი ნინო მამუკას ასული ხოჯოლავასი, მამა, ძმები, დები, სიძეები, რძლები, სიდედრი თურქიასი, ცოლის ძმები, ცოლის დები და ქვისლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 10 სექტემბერს ქალ. პიატიგორსკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

## ბიქტორ ივანეს ძე ხოჯოლავა.

ნეშთის ქუთაისში მოსვენების და დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

უზომო მწუხარებაში მყოფნი მშობლები ვასილი და ალექსანდრა ქორქაშვილები, შვილები მათი ნინო ლორთქიფანიძისა, ლევანი, ქეთევანი და თამარი, რძალი ციცინო და სიძე ალექსანდრე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 17 ენკენისთვეს დღის 12 საათზე, ქუთაისის სადგურიდან გამოასვენებენ ბრძოლის ველზე მოკლულს ძვირფას შვილს და ძმის

## კოწიას

სოფ. გეგუთში დასაკრძალავათ, რომელიც მოხდება სამშაბათს, 20 ენკენისთვეს, დღის 4 საათზე.

---

## გაზ. „სამშობლოს" კანტორა

მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერთ, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: ღადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.

---

**ექიმმა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიული და შინაგან ავათმყოფობისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2

---

**ექიმი** **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

ელექტრო **„რადიუმ"** თეატრი

პარასკევიდან, 16 სექტემბრიდან

## ვინ დაღუპა.

თანამედროვე დრამა სამ ნაწილად; ბარანცევიჩის, მირატის, ჯემაროვის, სოტნიკოვის და კნორრის მონაწილეობით; ბარანცევიჩის ნოველის „ტყის დარაჯი ქალი"-ს მიხედვით

### ვინ არშიყობს.

სახუმარო. კოროტიშკინის მონაწილეობით.

---

ელექტრო **„ამპირ"** თეატრი

პარასკევიდან, 16 სექტემბრიდან

## ვისაც უყვარს, ის გაიგებს.

ორიგინალური დრამა 4 ნაწ. მხატვართა ცხოვრებიდან ჩერნოვას და ტურჟანსკის მონაწ.

სახუმარო სურათი **ცოლის შერთვა მინდა.** სახუმარო სურათი

**ა ნ ო ნ ს ი**: ორშაბათიდან, 19 სექტემბრიდან:

### ს უ ლ ი ს ნ ი ღ ა ბ ი

კინო პიესა 4 დიდ ნაწილად ანნა მარის სცენარით. სერბიის სამეფო თეატრის რეჟისორის მიერ დადგმული ანდრეევისა. გსავსკის, პეტიპას, სავიცეის, პავლოვას, მერატოვას, რუტკოვსკაიასა და ნერონოვის მონაწილეობით

**ლამაზი მოვაჭრე ქალი** სახუმარო.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 13 სექტემბერი. სად. ხინციენბერგზე გამოჩნდა „ილია მურომეცი", რომელმაც ჩამოაგდო 17 ორ-ორ ფუთიანი ყუმბარა. ზიანი არ მოგვსვლია დვინსკის სამხრეთით ერთი მტრის საფრენი, რომელსაც ჩვენ ზარბაზნებს ესროდით, შემობრუნდა და ძირს დაშვება დაიწყო; ჩვენ შევამჩნიეთ, რომ საფრენი მტრის ბანაკში ძირს დაშვების დროს გარემოცული იყო შავი კვამლით. ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მტერმა, ტბა კოლდიჩევსკის ჩრდილოეთით ორი ბატალიონით იერიში მოიტანა ჩვენს სანგრებზე, მაგრამ ენერგიული სროლით მოვიგერიეთ მტრისთვის დიდი დანაკლისით. ბევრი დახოცილები დასტოვეს ჩვენსა და თავის სანგრებში.

**პეტროგრადი.** 14 სექტემბერი. ბრძოლის პირზე მზვერავ რაზმების შეტაკებაა. საყურადღებო შეტაკება მოხდა, რიგის სამხრეთით, ტირულის ჭაობების ნაპირებზე. დანარჩენ ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.**

მ. ელლეუს რაიონის სამხრეთით, შავი ზღვის პირას ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს ოსმალებზე და ტყვეები წამოიყვანეს. გიუმუშხანეს სამხრეთ დასავლეთით, ჩვენმა ნაწილებმა გაარღვიეს ოსმალოთა სადარაჯოები და ბევრი ოსმალო დახოცეს. სპარსეთში ხამადანის მიმართულებით მტერს დასავლეთით დავახვედრეთ, ხელთ ვიგდეთ: ტყვეები, იარაღი, აქლემების ქარავანი და დიდ მანძილზე მტრის ტელეგრაფი გავაფუჭეთ.

მთელი კვირის განმავლობაში გერმანელებმა ბევრჯერ მიიტანეს იერიშები ფრანგ-ინგლისელების სიმაგრეებზე კომბლის რაიონში, სომის დასავლეთით. გერმანელების სამი ძლიერი იერიში, მოგერებულ იქნა. ფრანგებმა თითონ დაიწყეს შეტევა და წინ წაიწიეს ფრეჟიკურის ხაზამდე, აიღეს რანკური და საგრძნობლათ წაიწიეს აღმოსავლეთით პერონბაპონის დიდი გზის მიმართულებით, სადაც ეს გზა სჭრის ჩრდილოეთის არხს. ტყვეთ იგდეს ხელთ 800 გერმანელი: ვერდენის მიდამოებში ფრანგების წინსვლა გრძელდება, ტყვეთ წამოიყვანეს 100 კაცი. 2 ფრანგმა მფრინავმა ესენში კრუპის ქარხანაში ყუმბარები ჩამოყარეს.

**პარიზი.** 12 სექტემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. კომბლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ ფრეჟიკურის ხაზამდე, დაიპყრეს ძლიერ გამაგრებული ნაწილი ამ სოფლისა, სიმაღლე 140 და აგრეთვე სოფ. რანკური.

**პარიზი.** 13 სექ. ოფიციალური. 12 სექტემბერს ღამით ჩვენმა მფრინავებმა დილინგერის ქარხნებში ჩამოყარეს 200 მილიმეტრ ყუმბარები მეცის სადგურში 22.

**ლონდონი** 12 სექტემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. გასულ კვირას ინგლისელების ჯარმა განავითარა თავის შეტევა სომაზე. გილიემონის დაცემამ, ინგლისელებს ხელში ჩაუგდო გერმანელების მთელი პირველი ხაზი. ჟანშის დაპყრობით, ინგლისელებმა შეტევა დაიწყეს გერმანიელების მესამე ხაზის წინაამდეგ. ბრძოლა დაიწყო სექტემბერს ღამით. ინგლისის ჯარმა დაიკავა სიმაგრე ვუნდერვეკი ტიეპვალის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მეორე დილით დაიწყო შეტევა ექვს მთლიან ასპარეზით, ალბერტ-ბაპომის გზიდან პოზიერის აღმოსავლეთით კომბლის ჩრდილოეთით ბულოს ტყემდის, პირველი შეტევისთანავე დავიკავეთ გერმანიელების სანგრების ნაწილი გარდა დიდი ტყისა ჟანშის და ტყე ლეზის ჩრდილოეთით სადაც დიდი სიმაგრეები იყო. ფლერსი ჩვენ დავიპყრეთ, დავიკავეთ აგრეთვე გერმანელების სანგრები დიდ ტყესთან ჩვენ დავიკავეთ ფერმა მუკის სანგრები. მეორე დღეს ჩვენ დავიკავეთ ჟანშის და ტყე ბულო'ს შუა „ოთხკუთხედი".

აღმოსავლეთ აფრიკაში 3 სექტემბერს გენერალმა სმეტსმა ულუგურუს სიმაღლე დაიკავა.

**ლონდონი.** 13 სექტემბერი. ოფიციალური. საფრანგეთში ანკრის სამხრეთით მტერმა ერიში მოიტანა. კურსელეტის აღმოსავლეთით ჩვენს სადარაჯოზე ერიშით მოვიგერიეთ ნევშაპელი გულია ვუკის ჩრდილოეთით ნაღმი ავაფეთქეთ, რამაც მტრის სიმაგრეები დააზიანა.

**ლონდონი** 13 სექტემბერი. საფრანგეთში ანკრის სამხრეთით ჩვენ იერიშები დავიწყეთ და ჩვენ სასარგებლოთ დამთავრდა. ჩვენ დავიპყრეთ მტრის სანგრები 6 მილის სიგძით კომბლის და მარტენის შუა ავიღეთ გამაგრებული სოფლები მრავალდალებეფი, აგრეთვე მტრის სანგრების რამდენიმე ხაზი სოფ. მორვალში, რომელიც კომბლის მაღლობების ჩრდილოეთით მდებარეობს.

**რომი.** 13 სექტემბერი. ოფიციალური ცნობა. ტრენტიონის ბრძოლის პირზე მტერმა საარტილერიო ბრძოლა განაცხოველა რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა ლაგარინის ხეობაში, მაგრამ ქალაქი არ დაზიანებულა. აზიაგოს რაიონის და ხეობა ვანის შუა ჩვენი შეტევა ბრწყინვალედ დამთავრდა.

**ბუქარესტი.** 12 სექტემბერი. რუმინიის ოფიციალური ცნობა. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ჟიუს ხეობაში მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერეთ დანარჩენ ნაწილში პატრულთა შეტაკებები იყო. დობრუჯაში ჰაერში პატარ-პატარა შეტაკება იყო. წარსულ ღამეს ბუქარესტზე ცეპელინი გამოჩნდა, მაგრამ სროლით განვდევნეთ, გზაში 31 ყუმბარა ჩამოაგდეს მაგრამ უშედეგოთ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

დასავლეთის ასპარეზზე ინგლისელები სარგებლობენ განსაკუთრებულ მოძრავ ფოლადის კოშკებით, რომლებშიაც მძიმე ზარბაზნებია დამაგრებული. ინგლისელების სიტყვით მათი მოქმედება ფრიად ნაყოფიერია და მოწინააღმდეგეების საფრებს მარჯვედ ანადგურებს.

— —

ინგლისელებს გამოუგონიათ ახალი ნაღმები, „ბუნგალის ნაღმათ" წოდებული. ეს ნაღმი ნამეტნავად სწრაფად მოქმედებს.

— —

იტალიის ასპარეზზე თვალ საჩინო ცვლილება მომხდარა. იზონცოზე გერიცის სამხრეთ აღმოსავლეთით ავსტრიელებს საგრძნობ უკან დაუბრუნებიათ, იტალიურ წყაროების ცნობით ავსტრიელებს ეს ძვირად დაჯდომიათ. აქ ავსტრიელებს ჯარები გაუმრავლებიათ.

— —

საბერძნეთში აწ დამყარებულ პოლიტიკურ მდგომარეობით მოკავშირენი არ კმაყოფილდებიან და კალაგეროპულოსს კომიტეტს თვალთმაქცობას სწამებენ.

— —

საბერძნეთში ხალხს გაუთავებელი ანარქია მოსწყინდა და წესიერების დამყარებას მოითხოვს.

— —

ბერძნული გაზეთი „ათინა" სწერს: საბერძნეთის მმართველებმა უნდა იფიქრონ თავდაპირველად იმაზე თუ რა სურს საბერძნეთს, რაა მისი მოვალეობა და რას მოითხოვს მისი ინტერესებიო.

— —

ფერდინანდი მისი შვილი ბასასი და ენვერ ფაშა გერმანიიდან რომ დაბრუნებულან ავსტრიის მთავარ ბანაკში მისულან.

— —

გერმანიაში დაარსებულა ერთი კომიტეტი, რომელსაც „შლეგიანი კომიტეტი" დაარქვეს. ეს კომიტეტი მოითხოვს, არ დაინანონ ინგლისი და, რაც შეიძლება მალე გაანადგურონ იგი. მათის აზრით ეს შეეძლება ინგლისის საზღვაო ძლიერების შემუსვრით. კომიტეტი ჰკილავს

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზის** მთელ სიგრძეზე სიწყნარეა, მხოლოდ აქაიქ მზვერავთა შეტაკებანია.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში ქამადანის მიმართულებით რუსებს წინ წაუწევიათ. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.** მდ. სომმაზე მოკავშირენი კვლავ წინ მიიწევენ; მათ დაუპყრიათ დიდად მნიშვნელოვანი პუნქტი კომბლი.

**იტალიის ასპარეზი.** ავსტრიელები ენერგიულ მოქმედებას განაგრძობენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** საარტილერიო ბრძოლაა ალაგ-ალაგ. ცვლილება არავითარი არ მომხდარა.

**რუმინიის ასპარეზი.** ჩრდილოეთით მცირე ბრძოლებია. დობრუჯაში გერმანელებსა და ბულგარელებს მძლავრი იერიშები მიაქვთ რუმინელებზე.

---

ამერიკას, რომელიც ინგლისს, ყოველ მხრივ ეხმარება.

---

გერმანელი მეცნიერნი და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი საჭიროდ სცნობენ გერმანიამ, ახალ შენები გაადიდოს და ფლოტი გააძლიეროს.

---

გენ. ჰინდენბურგს განუცხადებია გერმანელები მტერს აჯობებენ როგორც ბრძოლის ველზე ისე ფულებით, რაც მალე გამოაშკარავდება, სამხედრო სესხზე ხელის მოწერის დროსაო; მას დიდი იმედი ჰქონია ამ სესხისა.

---

„მორნინგ პოსტი" სწერს; თუ საბერძნეთის მეფე კონსტანტინე და მისი ამალა გერმანოფილობას თავს არ დაანებებენ, მოკავშირეთა ფლოტი ათინას დაუშენსო.

---

ამერიკულ ჟურნალისტებთან საუბარის დროს გენ. მაკენზენს სხვათა შორის შემდეგი უთქვამს: „ჩვენ არ მოველოდით, თუ მოკავშირეები ასე მომზადებულნი და იწყებდნენ ბრძოლებს მდ. სომმაზე. იქ ორივე მხარეს თანაბარი ჯარი ჰყავს, თითოს მილიონ ნახევარი, მაგრამ არტილერია მოკავშირეებსა სჭარბობდა; ეხლა დანაკლისი შევივსეთ და მდგომარეობაც გამოსწორდებაო.

---

ფრანგების მიერ ვერდენი გასაოცარ დაცვას ინგლისელები იმდენადა სცემენ პატივს, რომ სიტყვა „ვერდენის" ხსენებისათანავე ყველა ფეხზე ადგომით სცემს პატივს მის დაცვაში დაღუპულთ

---

ოსმალეთის ათონის ელჩს ბერძენ ჟურნალისტთან საუბარის დროს უთქვამს: ოსმალთა უკან დახევა კავკასიაში განზრახ ხდება, ბრამა რუსის ჯარს ოსმალები ვიტყუებთ შორის, რათა შემდეგ უფრო ადვილად გავანადგუროთო.

---

აღმოსავლეთის აფრიკაში მომქმედ ინგლისის ჯარებს ამ ბოლო დროს პორტუგალელები დიდ დახმარებას უწევენ თურმე.

---

იტალიის ასპარეზზე ახალ ხერხისთვის მიუმართავთ ავსტრიელებს: უკან დახევისას თავის დახოცილთ ხუთ ხუთს ცალკე გადააბამენ ხოლმე და ზედ ადვილად გასასკდომ ყუმბარებს მოაბამენ როცა წინ წაწეულ იტალიელთა მოწყალების დები და ძმები მკვდრებს დამარხვას მოუნდომებენ, ყუმბარა სკდება და მსხვერპლობს ხოლმე მათ.

---

ბუქარესტის გაზეთების ცნობით ქ. მონასტირი სერბიელებს უკვე დაუპყრიათ.

---

ათინაში შეთქმულება ყოფილა ვენიზელოსის მოსაკლავად.

---

ჰერძნებს მეფის სასახლე ათინაში გაუმაგრებიათ.

---

ბუქარესტიდან მოსულ ცნობების მიხედვით დობრუჯას ბრძოლებში ბულგარელებს 20000 კაცი დაჰკლებიათ.

---

ჰოლანდიელებს თავის მთავრობისთვის პეტიციით მიუმართავთ, რათა წინადადება მისცეს მან სხვა ნეიტრალ სახელმწიფოებს დაარსონ „ნეიტრალი კავშირი" კომისია რომელმაც უნდა თვალ ყური ადევნოს, რომ ახლად დაპყრობილ ხალხებს სასტიკად არ მოექცნენ.

---

გერმანულ ქაღალდის ფულის ღირებულება საზღვარ გარეთ ამ ბოლო ხანებში 30% დაცემულა. ხოლო რუსულს მანეთის ფასს 3% აუწევია.

---

# ჩვენი ცხოვრების უკუღმართობანი.

ვგონებ, პიროვნება არსად არ არის ისე ნაკლებად პატივცემული, როგორც ჩვენში.

სხვისი პიროვნების დამცირება, მიწასთან გასწორებაც—არაფრად არ მიგვაჩნია.

დაბალი ლობე თუ ვნახეთ, უთუოდ გადავთელავთ. სუსტსა და თვინიერს აუცილებლად დავიბრიყვებთ და დავჩაგრავთ.

დაუკვირდით ჩვენი მანდილოსნების ყოფაქცევას: როდესაც პატარა მოსამსახურე გოგო ბიჭებს დაიბრიყვებენ მათში ყოველსავე ადამიანურს შეურაცხყოფენ და შელახვენ ხოლმე.

როგორ ზრდიან დედები შვილებს? ხშირად ან ისე სჩაგრავენ, რომ გამბედაობას სიყრმითგანვე უკლავენ, ან ისე ანებივრებენ, რომ მათი თვითნებობის სხვერპლად თვითონვე შეიქნებიან ხოლმე

ერთი სიტყვით, ოჯახური აღზრდის სისტემაში ზომა და წონასწორობა არ არის და ეს ნაკლი იქიდან იშობება, რომ ბავშის პიროვნებას პატივს არა სცემენ.

დაუკვირდით რომელსამე დაწესებულებაში დამკვიდრებულ წესებს. უფროსი უმცროსს დაბალი ღირსების კაცადა სთვლის, თავის თანასწორად არ აღიარებს. და დღემდისაც კი ვერ შეუგნიათ, რომ საერთოს, კოლექტივურ დაწესებულებაში უფროს-უმცროსობა მხოლოდ საქმის წარმოებაში უნდა გარეშე იწერებოდეს და პიროვნებათა ურთიერთობას სრულიადაც არ უნდა ეხებოდეს. მაშასადამე, უფროსს უნდა ჰქონდეს უფლება ხელქვეითის მოქმედებას მხოლოდ მიმართულება შეუცვალოს იმ პირობით კი, რომ მისი პიროვნება არ შეურაცხყოს არც მოვალეობის ასრულების დროს და არც მეტადრე სამსახურის გარეშე. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ყვირილი, ჯაჯღანი, პიროვნების გაბიაბრუება უპირველესად თვით საქმისთვის არის სავნო და საზიანო.

ვისაც ჩვენებური გლეხის ოჯახში დრო გაუტარებია, დამემოწმება, რომ მამა-შვილებსა და ძმათა ურთიერთობა—საშინელებას წარმოადგენს. ძმა ძმას უყვირის და სწყევლის, შვილები მამასა და მამა შვილებს. გაყოფის მიზეზი უმთავრესათ ეს არის.

და ვინ არ იცის, რა ჯოჯოხეთი დატრიალდება ხოლმე საშუალი წრის კაცის ოჯახში, როდესაც ყმაწვილი ცოლს ითხოვს და ოჯახში ორგამგეობა დამყარდება. მოხუცი დედ მამა ბატონობას აგრე ადვილად ვერ შეელევიან, თავისი მხრით ახლად დაქორწინებულთაც სწადიათ დამოუკიდებელი ცხოვრება.

აქედან იშობება დაუსრულებელი შინაური შეხლა, შეურაცხყოფა და ბრძოლა.

ალბად ამიტომ არის, ევროპაში რომ მშობლები და მოსწრებული შვილები ერთად აღარა ცხოვრობენ. დრო კია, ეს ჩვეულება ჩვენშიაც შემოვიდეს.

ჩვენში ხშირად დაიქადებენ ხოლმე, ამადაამ კაცსა ვსცემეო. მერე კაცის გალახვაზე უსაზიზღრესი რა-ღა უნდა იყოს?! სხვისი პიროვნების ხელის-შეხება საზოგადოდ ადამიანის ღირსების შეურაცხყოფას მოასწავებს. და შეუძლებელია, გამლახველი გულში თავის საქციელს არა ნანობდეს.

ზოგს დიდ მამაცობად მიაჩნია აგრეთვე, თუ ვინმე ხანჯლით ან ხმლით დასჭრა. მაგრამ, ეს რომ მამაცობას მოასწავებდეს, ბოროტი კაცები ომში უმამაცესნი იქნებოდენ. მაგრამ, პირიქით, კერძო ცხოვრებაში ცხვარივით მშვიდი, წყნარი და კეთილი, ომში, ძლიერი საზოგადოებრივი ალღოს გამო, ხშირად ნამდვილ გმირად გადიქცევა ხოლმე.

დროა შევიგნოთ, რომ პიროვნების შეურაცხყოფა სიტყვით თუ საქმით—საზიზღრობაა, რომელიც კაცურ კაცს არ ეკადრება და არ შეეფერება.

ამას წინეთ ერთი საზარელი ამბის მოწმე ვიყავი. ერთი ქართველი მეორეს ამოღებული ხმლით მოსაკლავად მისდევდა და უეჭველია მოჰკლავდა კიდევაც, ლტოლვილს რომ თავი მაღაზიაში არ შეეფარებია. როგორ დავმცირდით! ჩვენი წინაპრები დედაკაცსა და უიარაღო კაცზე არაოდეს იარაღს არ იხმარდენ: ეს ლაჩრის წესად მიაჩნდათ.

რაინდული ზნისა და ჩვეულების გადავარდნა ახალმა, მეწვრილმანურმა დრომ მოიტანა, მაგრამ იმავე დროს დღევანდელმა ომმა ქართველის სულში კეთილშობილი სწრაფვა კვლავ აღანთო და განახლა; ბრძოლის ველზე ქართველი კვლავ რაინდად გადაიქცა.

ორი ზნე ებრძვის ერთმანეთს: მეწვრილმანური და ძველი, რაინდული. და, სასურველია, ცუდი არა შევითვისოთ-რა, და წინაპართაგან ნაანდერძევი სიკეთე არ დავივიწყოთ. ნუ ვიქნებით სულდაბალი და „ფუ" ვუთხრათ სხვისი პიროვნების შეურაცხ მყოფელსა და დამჩაგვრელსა ვიყოთ რაინდნი და კეთილ შობილნი!

არ შემიძლია არ აღვნიშნო აქ ერთი მეტად სამწუხარო მოვლენა. მაშინ, როდესაც ჩვენი შვილები ბრძოლის ველზე გმირულად სისხლსა ღვრიან, ზოგიერთი, პირიქით, თავისსავე ხალხს ჭირად და სნებად მოვლენია. ჩვენს გაჭირვებას რა-ღა ახალი ჭირის მიმატება უნდოდა! ძმა ძმას აღარ ზოგავს და შვილი მამას! მშიერ ავაზაკთა ბრბო მოსდებია სოფლებს და აღარავის აღარ ინდობს, აღარც მდიდარსა და აღარც ღარიბს, აღარც დიდებულსა და აღარც მდაბიოსა და კაცს უშიშრად გზაზე ვეღარ გაუვლია. სწორედ მხეცზე უარესი ყოფილა მტაცებელი ადამიანი!

სამწუხაროდ, ძნელია ბრძოლა თავზე ხელაღებულ ავაზაკებთან, რადგან შესაფერი ორგანიზაცია, ე. ი. შენაწევრებული საზოგადოებრივი ძალი, არ მოგვეპოება.

ერთი ახალი, უცნაური ჭირიც მოევლინა კიდევ ჩვენს საზოგადოებას: კაცთ მოტაცება. ევროპაში ძვირფასი ნივთის ქურდიც უკვირსთ და, როგორც გადაგვარების ნაყოფი, განსაკუთრებულ სამეცნიერო საძიებლად გამხდარა. თვით ჩვენს წინაპრებს იმდენად ეჯავრებოდათ ყურსალობა (კაცთ ტაცება), რომ, როგორც ერთი ჩვენი თანამშრომელი ამბობს, უკანასკნელს დროს ამ საძაგელი ხელობის სახელიც კი ამოვარდნილიყო.

მაგრამ დღევანდელის ჩვენი უკუღმართი ცხოვრების ნიადაგზე სხვადასხვა უცნაური და უმსგავსი ბოროტება აღმოცენდა და იმასაც მოვესწარით, რომ კაცებსაც კი იტაცებენ, როგორც უბრალო ნავთებს.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება გატაცებული მოსწავლის—ჯანელიძის—ცხედრის სახე მოსწავლე ბავში მოიტაცეს და დარაჯებსა და მომტაცებლებს შორის ამტყდარი სროლის დროს მოჰკლეს. რად? რისთვის გამოასალმეს წუთი-სოფელს სიცოცხლით სავსე ბავში, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა?! მომტაცებლებო! იცოდეთ, რა სამდურავი აღბეჭდილიყო რომ საცოდავი ბავშის ცხედრის სახეზე, ვგონებ, თქვენი ქვის გულიც კი გალხვებოდ!

ამას წინეთ ექიმი გოკიელოვი მოიტაცეს. მაგრამ იციან თუ არა მომტაცებლებმა, რა მძიმე მოვალეობაა მკურნალობა? მკურნალი—ქვეყნის ჭირისუფალია, მისი გული ქვეყნის ტკივილით ლმობილია, ქვეყნის წყლულით დაწყლულებულია. ერთი სიტყვით, ის—საზოგადოების სხვერპლია. და განა მას, ჭირის ოფლით შეძენილი ქონება—კიდევაც რომ გააჩნდეს რამე, უნდა შხამად წავარგოთ და დავამწაროთ?!

განათავისუფლეს თუ არა გოკიელოვი მეორე დღესვე ოკიელოვი, ზვიადაძე მოიტაცეს.

საშინელებაა! ჩვენს ვაჭარსა და მრეწველს თავ-თავის ხელობაზე გული ასცრუებიათ და ცდილობენ თავისი კაპიტალითურთ სხვა ქვეყანაში გადიხვეწონ. უცხოელ დიდ კაპიტალისტებს კი, რასაკვირველია, შეუძლიათ ალხეინად იყვნენ და დაეპატრონონ ჩვენს სამშობლოს, რადგან თავდაცვის საშუალება მოეპოებათ. ამხვარად, ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ჩვენივე მოძმეებივე უთხრიან ძირს.

ესეც რომ არ იყოს, განა არის ისეთი პატივსადები მიზეზი, რომ ადამიანის მოტაცების გამართლება შეეძლოს? რომელი სიმდიდრეა, რომ ადამიანის ღირსება იმაზე მეტად არა ღირდეს?! და, უეჭველია, ვინც ქანქარისთვის ამგვარ ბოროტებას არ ერიდება, არ არის ღირსი, კაცის სახე ატაროს. ის—მხეცთა სწორია!

ამის შემდეგ საკვირველი აღარ უნდა იყოს ჩვენს გაზეთებში დამკვიდრებული

# ახალი ამბავი.

◆ ოც ამ თვეს ცნობილი მომღერალი ქალი სოლიარი ქუთაისის თეატრში გამართავს კონცერტს, რომლის ნახევარი შემოსავალიც გადაეცემა ქუთაისის საქველ მოქმედო საზოგადოებას.

◆ 18 ამ თვიდან უნდა დაწყებულიყო ლექციების კითხვა სახალხო უნივერსიტეტში, მაგრამ დრამატიულმა საზოგადოებამ უნივერსიტეტს თეატრი არ დაუთმო სხვადასხვა მიზეზების გამო.

ამ ჟამად არც თეატრ რადიუმია სალექციოთ მოწყობილი, რადგან იქ ხდება რემონტი,

გამგეობას იმედი აქვს, რომ ლექციის კითხვა დაიწყება იქით კვირიდან ერთ-ერთ ზემო დასახელებულ შენობაში.

◆ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნ. ა. ა. გარსევანიშვილი პირველ სახალხო ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე „ქალაქ ქუთაისის წარსულიდან," ხოლო ექიმი ბადრიძე „მეჩნიკოვი, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე"

◆ 18 სექტემბერს დაბა ახალ სენაკში ახალგაზდა მგოსანი ნოე ჩხიკვაძე გამართავს სალიტერატურო საღამოს. ლექციის წასაკითხად მიწვეულია სახ. უნივერ. ლექტორი ბ-ნი ა. ა. გარსევანიშვილი. წაკითხულ იქნება ლექცია შემდეგ თემაზე: „მგოსანი აკაკი და მისი შემოქმედება".

◆ კვირას, 18 ენკენისთვეს დაიწყება სეზონი ქართული წარმოდგენებისა პირველ დღეს წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის დრამა „მთის ზღაპარი".

შეკეთებული შენობა თეატრისა და ისეთი თვალსაჩინო ძალები, როგორიც არიან ნ. ჩხეიძე, მ. მდივანი, ალ. იმედაშვილი, პლ. კორიშელი, და სხვანი, იმედია ყოველთვის მიიზიდავს საზოგადოებას და წრევანდელი სეზონი ბევრად უფრო შემოსავლიანი და შინაარსიანი იქნება.

◆ განზრახულია, რომ „კოოპერაციის მომავალ სახადილოს ჰიგიენურ მდგომარეობის შემოწმება მიენდოს ექიმს ბ-ნ ვასილ წერეთელს. სასადილო ახლო მომავალში გაიხსნება და ექიმი ყოველ დღე დაათვალიერებს ხოლმე სანოვაგესა, სამზარეულოს და შეამოწმებს მოსამსახურეების ჯანმრთელობას.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს ახალმა თავმჯდომარემ უკვე მიიღო ფიცი და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ სახალხო შკოლების პირველ რაიონის ისპექტორმა განკარგულება მოახდინა ჯარში გაწვეულთა მოადგილე მასწავლებლების მიმართ, რომ ისინი სინდისიერათ შეუდგენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას და ხშირათ არ სტოვებდენ მეცადინეობას. ეს განკარგულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თურმე, ხსენებული რიგის მასწავლებლები რადგან შტატში არ ირიცხებიან და მოელიან გაწვეულ მასწავლებელთა თავის ალაგას დაბრუნებას, უგულოთ ეკიდებიან თურმე მეცადინეობას და მხოლოთ ფორმალურათ ასრულებენ თავის მოვალეობას.

# ჩემი პასუხი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ პატივი მცეთ და ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენის გაზეთის „სამშობლოს" უახლოეს ნუმერში*)

მკითხველ საზოგადოებას უთუოდ ეხსომება, რომ მიმდინარე წლის მაისის თვიდან ორმა თანამოაზრე ქართულმა გაზეთმა,—სახელდობრ „სახალხო ფურცელმა" და „მეგობარმა" ბევრი წერილი დასტამბეს ჩემს შესახებ.

გულწრფელად მოვახსენებ მკითხველ საზოგადოებას, რომ უმრავლესობა ამ წერილებისა არ წამიკითხავს გარდა ორი წერილისა. ერთი მოთავსებული იყო „მეგობრის" ცხრამეტი მაისის ნომერში და ერთიც კიდევ, მაშინვე, „სახალხო ფურცელში".—დანარჩენთა შინაარსი მხოლოდ გადმოცემით ვიცი, და ვიცი ისიც, თუ რა ქება-დიდებას მიძღვნიან მე და ჩემს საზოგადო მოღვაწეობას ამ წერილის ავტორები და რა პატივისცემით გვიხსენიებენ, როგორც მე, ისე იმ წოდებასაც, რომლის დიდი უმრავლესობა ოცდა ექვსი წელიწადია თავის წინამძღოლად მირჩევს.

პირველი იმ ორ წერილთაგანი, დაბეჭდილი გაზეთ „მეგობარში" თვით იმ დღეს, როცა ჩემი ხელ-ახალი არჩევანი უნდა მომხდარიყო,—ე. ი 19 მაისს, მიუთითებს ჩემს უსწავლელობასა, გაუნათლებლობასა, გაუბედაობასა, ეროვნულ ინტერესების დაცვის უიმედობაზედ და სხვა...

სამწუხარო ის არის, რომ ამ წერილში სავსებით გამეორებულია ის სიტყვები, რომლებითაც აღნიშნული იყო ჩემი ნაკლი,—ვითომდა საზოგადოებრივი მოუმზადებლობა—იმ დაბეზღების ქაღალდში, რომელიც გუბერნიის მარშლად ჩემ პირველად არჩევისათანავე 1903 წელში, მიერთვა ქუთაისიდან პეტროგრადს მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს აწ უკვე განსვენებულ პლევეს და რომელიც უეჭველად დღესაც ინახება ამ სამინისტროს სათავად-აზნაურო დეპარტამენტის არხივში

*) ვასრულებთ საგუბერნიო მარშლის თხოვნას და ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად. **რედ.**

მეორე, არა ნაკლებ საყურადღებო, წერილი მოთავსებულია „სახალხო ფურცელში", რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნულია: „აზნაურობამ [illegible] გუბერნიის [illegible] რაძემ იმ მოსაზრებით გააძევა კრებიდან კორესპონდენტი იმ ერთად-ერთ რუსული გაზეთისა, რომელიც ქუთაისში გამოდის, („Кутаисскія вѣсти") რომ თ-დ ნიჟარაძეს არ სურდა რუსულ გაზეთში დასტამბულიყო ცნობები მისი მოქმედების შესახებ და ეს ცნობები გუბერნატორს არ წაეკითხა და არ გასცნობოდაო. რას სახელი უნდა ეწოდოს ამგვარ რამის გაზეთში მოთავსებას და რა სახელით უნდა მოინათლოს მისი ავტორი, ეს თვით მკითხველი საზოგადოებისთვის მიმინდვია. ჩემთვის კი სრულიად საკმაოა ამ ორი წერილის მიხედვით წარმოვიდგინო ნამდვილი მიმართულება ამ გაზეთების ხელმძღვანელებისა და ხელი ავიღო ამ გაზეთების კითხვაზეც. რამდენიც ენებოთ მლანძღონ თავისებური ენით, მე ამ ვაჟბატონებს ხმას არ გავცემ, მით უმეტეს რომ ისინი პსევდონიმის რიდეთი იფარავენ სახეს და მე არც კი ვიცი, ვინ არიან და რა არიან იგინი.

იმედი მაქვს დიდი უმრავლესობა იმ შეგნებულ საზოგადოებისა, რომელსაც მე ვაფასებ, რომლის თვითეულ სიტყვასაც კი ანგარიშს უწევ და რომლის მორალურ სიტყვით და საქმით დახმარებას ჩემ საზოგადო სამსახურში მე ვსაჭიროებ, ჯეროვანად დააფასებს სიმართლეს და ჭეშმარიტებას თითოეულის ჩემზედ თქმულისას და დაწერილისას ამ გაზეთებში და გაითვალისწინებს, თუ რა დანაშაული მიმიძღვის საზოგადოების და ხალხის წინაშე იმის მეტი, რომ მე ჭეშმარიტი ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო მიყვარს, მიყვარს ჩვენი საერთო სამშობლო რუსეთიც, იმიტომ, რომ მას შეუძლია და მოვალეც არის გააბედნიეროს ჩემი პატარა სამშობლო—საქართველო და ამიტომ სულით და გულით ერთგული ვარ რუსეთის ტახტისა. არც ერთს ეხლანდელ სოციალურ-პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნი, თუმცა თითოეულს მათგანს, რომელიც კი ჭეშმარიტი რწმენით არის გამსჭვალული ამა თუ იმ მოძღვრებისადმი,—მე გულითად პატივსა ვცემ. რაიცა შეეხება იმ ცრუ სოციალისტებს, რომლებიც პირადი ინტერესებისათვის ფარავენ თავიანთ ნამდვილ ფიზიონომიას სოციალურ ნიღაბის ქვეშ და სხვებსაც ურჩევენ რომ ყოველი კაცი, ვისაც სურს ხალხის ნდობა მოიპოვოს „კლიჩკას" უნდა ატარებდესო, უნდა მოგახსენოთ რომ ამგვარი სოციალისტისა მე არა მწამს რა და საერთო მასთან არც არა მაქვს და არც მექნება თავის დღეში. დაე სწერონ და ილანძღონ რამდენიც ეპრიანებათ! მათთვის მიგვისაკუთრებია ეს მათებურივე „კულტურული

შემეცნება“.

ამ წერილით მე ანგარიშს ვუწევ რამოდენიმე პატივსაცემ პირს, რომლების ნათქვამად გადმომცეს საყვედური, გამოწვეული ჩემის დეპეშებით, რომლებითაც მე მოვითხოვე თ-დ სოლომონ მიქელაძისაგან ბანკში სამსახურისათვის თავი დაენებებია, რადგან კანონით მას ამ საზოგადო დაწესებულებაში ნება არა აქვს იმსახუროს. დიახ, მე საყვედურის და დაგმობის ღირსი ვარ, თუ ეს ჩემი მოქმედება თვით თავ. სოლომონ მიქელაძისაგან არ არის გამოწვეული და მე იძულებულ არა ვარ დავიცვა პრესტიჟი იმ წოდებისა, რომელსაც სათავეში ვუდგავარ და მასთან ჩემი პირადი თავ-მოყვარეობაც, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლმა.

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ მე შურს ვუძიებ თავადს მიქელაძეს, იმიტომ რომ მისმა პოლიტიკურმა თანამოაზრეებმა, წელს, მაისის თვეში მომხდარ თავად აზნაურთა არჩევნებზე, ჩემს საწინააღმდეგოთ გუბერნიის მარშლობაზე მისი კანდიდატურა წამოაყენეს, ღმერთმა დამიფაროს ასეთ რამეზე შურის ძიებისაგან.

ოცდა ექვსი წლის განმავლობაში ჩემი საზოგადო სამსახურისა, არც ერთი არჩევანი არ ყოფილა, რომ ოპოზიცია არა მყოლოდეს იმავე ჯგუფიდან და იმავე პირების თაოსნობით, რომელი ჯგუფის და პირთა თაოსნობითაც სოლომონ მიქელაძის კანდიდატურა წამოაყენეს წელს და რომელთა მეცადინეობაც დამთავრდა კვლავ ისე, როგორც ყოველთვის დამთავრებულა ხოლმე ამ ოპოზიციის ხრიკოსნობა ჩემს წინააღმდეგ ამ ოცდა ექვსი წლის განმავლობაში! მე შემიძლია თამამად მოვახსენო მკითხველ საზოგადოებას და ფაქტებითაც დავუმტკიცო რომ არჩევნების გათავების შემდეგ თავის დღეში კრების დარბაზიდან არ გამომყოლია ვისმეზე არა თუ შური, არამედ სამდურავიც კი. პირ-იქით, როგორც მოვალეობა მოითხოვდა ჩემგან, მე თანაბარის პატივისცემით ვეპყრობოდი ჩემს მომხრეთაც და არამომხრეთაც, შეიძლება უკანასკნელთა პატივისცემას პირველებზე კიდევაც ვაჭარბებდი. და ვცდილობდი სახე სამდურავისაც არ მეჩვენებინა მისთვის და მით საზოგადოებაში ურთიერთობის და საზოგადოების საქმეების სასურველ მსვლელობისათვის რაიმე დაბრკოლება არ მისცემოდა, ამიტომ არა ერთხელ გაუგონიათ ჩვენში ნათქვამი ჩვენზედ: „თუ გინდათ რომ დათა ნიჟარაძემ შემწეობა მოგცესთ და ყველაფერში დახმარება გაგიწიოთ, შავი კენჭი ჩაუგდეთ, ეწინააღმდეგეთ და ის მოყვრულად გადაგიხდითო“.

ყოველი მიუდგომელი წევრი ჩვენი საზოგადოებისა ამას დამიდასტურებს.

აქ თვითეულს მკითხველს უნებლიეთ დაებადება საკითხი: მაშ, რა მიზეზია რომ სოლომონ მიქელაძეს ასე ჩააცივდა თ-დი ნიჟარაძე, დეპეშას დეპეშაზე უგზავნის და მოითხოვს მისგან ზედამხედველი კომიტეტის წევრობიდან გადადგომასაო? დიახ, ყველას ნება აქვს ასეთი საკითხი წამოაყენოს, თუ ის საქმის ნამდვილ გარემოებას არ გაეცნობა და არ შეიტყობს, თუ რამ გამოიწვია ჩემგან ყოველივე ეს.

ქუთაისის საზოგადოებას უკვე მოეხსენება, რომ, მაისში, სათავად-აზნაურო კრების გათავებისთანავე, რომელზედაც მე ხელახლა არჩეულ ვიქმენ გუბერნიის მარშლად, შესდგა ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება; ჩემმა ამომრჩევლებმა, თავად-აზნაურობის უმრავლესობამ, მოითხოვა ჩემგან, რომ ამ კრებაზე სააზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრობაზე ყუთი დამედგა, რადგან ისინი უეჭველ საჭიროებად ხედავდენ გუბერნიის მარშლის მონაწილეობას ამ დაწესებულებაში. არავითარი ზნეობრივი უფლება არ მქონდა მათი სურვილისათვის პატივი არ მეცა, ნამეტურ იმ განმარტების შემდეგ, რაიც მათ საფუძვლად დაუდევს ამ მოთხოვნილებას ჩემდამი. ამ რიგად არჩეული ვიქმენ მეც, თუმცა ცნობილმა ვარლამ ჭილაძემ რვა კენჭით ჩემზე მეტი თეთრი მიიღო. მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ აზნაურობას და პატივცემულ ვაჭართა გარდა სხვა ელემენტებიც შედიან რწმუნებულად ამ ბანკის კრებაში, რომელთა შორის, რასაკვირველია, მეტი გავლენა და პატივისცემა აქვს მოპოებული დახელოვნებულ კომისიონერს ვარლამ ჭილაძეს, ვიდრე გუბერნიის მარშალს.

რაც მოხდა—მოხდა, მე იძულებული ვიყავი დავრჩენილიყავი კომიტეტში წევრად. ორი დღის შემდეგ თავ. სოლომონ მიქელაძისაგან, კომიტეტის თავჯდომარის სახელით უწყება მივიღე, რომლითაც იგი მიწვევდა კომიტეტის სხდომაზე. სხდომის გახსნისთანავე თ დმა მიქელაძემ წინადადება მისცა კომიტეტს, რომ თანახმად ბანკის წესდების 75 მუხლისა, კომიტეტის თავმჯდომარე აერჩიათ ბრძანა ეს თუ არა თავადმა სოლომონმა, კომიტეტის წევრმა ბ-ნმა გველესიანმა დაუყოვნებლივ განუცხადა კომიტეტს: „ვინაიდგან ერთ ერთი წევრი კომიტეტისა ბ-ნი ზდანოვიჩი აქ არ იმყოფება სანამ ის ჩამობრძანდებოდეს, თავმჯდომარის არჩევა უნდა გადაიდოს, ბ ნი ზდანოვიჩი კი, იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, პეტროგრადიდან შემოდგომაზე დაბრუნდებაო“.

ბ—ნ გველესიანის ასეთ წინადადებაზედ მე განუცხადე კომიტეტს შემდეგი „პირველი შემთხვევა იყო, როცა 1880 წელში კომიტეტის წევრად არჩეულ იქნა ჩვენი სასიქადულო ნეტარხსენებული დიმიტრი ყიფიანი, იმ დროის ქუთაისის გუბერნიის მარშალი, და იმ დღიდან დაკანონებულივით არის: თუ გუბერნიის მარშალი კომიტეტის წევრად იქნება არჩეული, მას უეჭველად კომიტეტის თავმჯდომარეთაც აირჩევენ. ოცდათექვსმეტი წელიწადია, რაც ამგვარი წესი ტრადიციათ გამხდარა ჩვენ სააზნაურო ბანკში. თქვენ გეხსოვრებათ, ბატონებო, მე თითონ გახლდი ჩემი მაზრის მარშლობის დროს არჩეული კომიტეტი წევრად და ამ უკანასკნელთაგან კი თავის თავმჯდომარეთ, მიუხედავად იმისა რომ კომიტეტის წევრად ბრძანდებოდა მაშინ ყოფილი გუბერნიის მარშალი თ-დი სიმონ გიორგის ძე წერეთელი. ხოლო შემდეგ, როცა გუბერნიის მარშალი თ—დი სიმონ დავითის ძე კომიტეტის წევრად იქნა არჩეული იგივე ავირჩიეთ კომიტეტის თავ-მჯდომარეთაც, მე კი კომიტეტის წევრად დავრჩი. ასეთი წესი არსებობს ამ ბანკში ამდენი ხანია და ამასვე მოვითხოვ ეხლაც თქვენგან, ბატონებო. საჭიროდ ვპოებ დავიწყოთ ჩემი სახელიც, გვარიც და ყოველივე, რაც ამ დღეებში მოხდა სააზნაურო კრებებზე დაირჩიოთ კომიტეტის თავ-მჯდომარეთ ქუთაისის გუბერნიის მარშალი. რაიცა შეეხება თავ-მჯდომარის არჩევნის გადადებას და ბატონ ზდანოვიჩის ცდას, ამის ნებას არც ბანკის წესდება გვაძლევს და არც საჭიროა, რადგან დანარჩენი ხუთი წევრი კომიტეტისა ამ წამში აქა ვართ მეთქი“.

მიუხედავად ასეთის ჩემი წინადადებისა კომიტეტმა ხმის უმრავლესობით დაადგინა: თავ-მჯდომარის არჩევა გადაიდვას ზდანოვიჩის ჩამობძანებამდისო. მეორე დღეს ისევ მიმიწვიეს სხდომაზე, რომელსაც მორიგი საკითხები უნდა გაერჩია აქ, გარდა კომიტეტის წევრებისა ბძანდებოდა ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარე თ-დი ფალავა და სამინისტროს წარმომადგენელი სობრიევსკი. თავ-მჯდომარის ადგილი დღესაც არ ვიცი რა უფლებით, დაიჭირა თავადმა მიქელაძემ და წინადადება მისცა კომიტეტს მორიგი საკითხების განხილვისა. მე განვაცხადე: ჯერ გუშინდელ ოქმი წავიკითხოთ, მოვაწეროთ ხელი და შემდეგ ახალ მორიგ საქმეების განხილვას შევუდგეთ მეთქი.

ზედამხედველ კომიტეტის მდივანმა პეტრე ყიფიანმა მიპასუხა: ოქმი დაიწერება შემდეგ და მოგერთმევათო;

ასეთი წესი რომ არსებობდა კომიტეტში პეტრეს დროიდან, ე. ი. ოქმები რომ ორი-სამი თვის შემდეგ იწერებოდა, მე გაგონილი მქონდა და ამიტომაც განვაცხადე: ყოველი ოქმი ან სხდომაზედვე უნდა დაიწეროს და ან შემდეგი მეორე სხდომისათვის უნდა მომზადდეს და წარედგინოს კომიტეტს, რომ მან განიხილოს და ხელი მოაწეროს და ისე დაიწყოს ახალი საკითხების განხილვა მე შეუძლებლად მიმაჩნია ახალი საქმეების და საკითხების განხილვა იმ დრომდე, ვიდრე გუშინდელ ოქმს არ წავიკითხავთ და ხელს არ მოვაწერთ მეთქი“.

ამის შემდეგ აბძანდა ბ—ნი პეტრე და გაემართა თავის სამუშაო ოთახისკენ (სადაც მას, როგორც ამბობენ, გარდა ერთი წიგნისა, რომელშიაც კომიტეტის რეზოლიუციები იწერება, აბარია კიდევ ერთი შკაფიც წიგნებით). მას გაჰყვა დაუყონებლივ თ-დი მიქელაძე და რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოიტანეს დამზადებული ოქმი, რომელსა, ხელის მოწერის დროს მე დავწერე შემდეგი: „არავითარ საფუძველს არ ვხედავ კომიტეტის თავჯდომარის არჩევნების გადადებისას, მით უმეტეს რომ მე-75 მუხლი ბანკის წესდებისა მოითხოვს დაუყოვნებლივ მის არჩევანს. მე უხერხულად მიმაჩნია მივიღო მონაწილეობა იმ სხდომაზე სადაც თავმჯდომარეობს პირი, თავის ნებითა და სურვილით მიმთვისებელი ამ დანიშნულებისა“. ხელი მოვაწერე ოქმს და დავსტოვე დარბაზი. ჩემი გამოსვლისთანავე არჩევანი მოეხდინათ და კომიტეტის თავმჯდომარეთ ბ-ნი ზდანოვიჩი აერჩიათ.

ახლა მე კითხვას ვაძლევ, ვისაც ეინტერესება ყოველივე ეს, თუ რამდენად წესიერი და კანონიერია ყველა ის მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ზემოაღნიშნული ინცინდენტი. განა შესაძლებელია დაეთმო ასეთი შეურაცხყოფა გუბერნიის მარშლისა და დღეს თავ. სოლომონ მიქელაძის და, ადვილი მოსალოდნელია, ხვალ კი ვარლამ ჭილაძის თავ მჯდომარეობით მონაწილეობა მივიღო კომიტეტის სხდომებზე. გუბერნიის მარშლის ასე აბუჩად აგდებისათვის საჭირო იყო ყურადღება მიმექცია თუ არა? ჩემის აზრით აუცილებლად საჭირო იყო, ამიტომაც ცხადად წინა აღუდექი ასეთს უწესოებას და თავ სოლომონ მიქელაძეს, მისი დახელოვნებული კაცის მსაჯულის ფილიპე მგალობლიშვილის პირით წინასწარ ვამცნე შემდეგი: „თუ იმ ნაწყენობას, რომელიც შეგხვდათ თქვენ ქუთაისის გუბერნიის აზნაურობისაგან უკანასკნელ არჩევნების დროს, გულში ჩაიდებდით და ამ ნაწყენობას აზნაურობას გადუხდიდით მის მარშალს აბუჩად აიგდებით, არ მეგონა, ეხლა კი, თვით იმ კანონის ძალით, რომლის ძალითაც ჩვენმა პატივცემულმა ოლქის სასამართლოს წევრმა ფიფინაშვილმა დაანება თავი კომიტეტის წევრობას სააზნაურო ბანკში, მოვითხოვ თქვენგან თქვენც თქვენის ნებით დაანებოთ თავი ბანკში სამსახურს და მის ზედამხედველ კომიტეტის წევრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო ზომებს მივიღებ მეთქი. მაგრამ ეს ჩემი წინადადება თ დმა მიქელაძემ უარჰყო.

ამის შემდეგ იძულებული შევიქენ და ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ შევანდინს სიტყვიერად განუცხადე განეხილათ ეს საკითხი და თუ ოლქის სასამართლოს საზოგადო კრება უკანონოთ იცნობდა თ-დ მიქელაძის სამსახურს ბანკში, წინადადება მიეცათ მისთვის თავი დაენებებინა ამ სამსახურისთვის. შემდეგ, ავათმყოფის გამო მე საექიმოდ წყლებზე წაველი, ამ ხანებში თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი შევან დინი გადაცვლილიყო, მე კი არავითარი ცნობა საქმის მსვლელობაზე არ მქონდა და სწორედ ამან გამოიწვია პირველი ჩემი დეპეშა კისლოვოდსკიდან სოლომონ მიქელაძისადმი, რომლის პირიც ოლქის სასამართლოს ახალ თავჯდომარესაც გამოუგზავნე, რომ იმასაც სცოდნოდა, თუ რა სიტყვიერი წინადადება მქონდა შეტანილი მის წინამოადგილე შევანდინთან თ-დი სოლომონ მიქელაძის კომიტეტიდან დათხოვნის შესახებ. ჩემი მეორე დეპეშა გამოიწვია თ-დი მიქელაძის ჩემდამი აგდებულმა საქციელმა, რომელმაც არ ისურვა შეესრულებინა უბრალო წესი ზრდილობისა და ეპასუხებინა ჩემთვის, მაშინ როდესაც მე დეპეშით ვსთხოვდი: Прошу Ваше Сіятельство почтить меня отвѣтомъ“.

მისი პოლიტიკური თანამოაზრეები კი შეუფერებელ პასუხს მაძლევენ ზემოხსენებულ ორი გაზეთის საშუალებით. და, სხვათა შორის, ამტკიცებენ თურმე რომ ქუთაისის სააზნაურო ბანკი არის საქველმოქმედო დაწესებულება და ამიტომ თ დს მიქელაძეს, როგორც სამსაჯულოს წევრს ნება აქვს იმსახუროს ამ დაწესებულებაში, ზედამხედველ კომიტეტის წევრად და გონორარიც იღოსო. თუ ეს ასეა და ყოველი ინსტანცია ოლქის სასამართლოდან ვიდრე სამინისტრომდე და სენატამდის, — რომელთაც მე უსათუოდ მივმართავ,—ამას დაადასტურებს, და ბანკს საქველმოქმედო დაწესებულებად აღიარებს, სალაპარაკოც აღარაფერი იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დარწმუნებული ვარ მკითხველი [illegible] მსჯავრს დასდებს თ-დ სოლომონ მიქელაძის და მის მოსარჩლეთა საქციელს და [illegible] მიგდებს დანაშაულში თუ მე ვიცავ თავმოყვარეობას იმ წოდების წარმომადგენლისას, რომელმაც თავის ინტერესების დაცვა ყოველთვის და ყოველგან მე დამავალა.

14 ენკენ. 1916 წ. **თ-დი დავით ნიჟარაძე.**

---

# ქართული პრესა.

„თან. აზრი“ ადამიანთა მტაცებლობის შესახებ კვლავ სწერს:

დღეს ერთობ ბევრს ლაპარაკობენ ყაჩაღებზე ქურდ-ბაცაცებზე, მტაცებელ შანტაჟისტებზე და სხვა მცარცველებზე. ამავე საგანზე პრესშიაც ბევრს სწერენ. და ასეა არა მარტო ჩვენში ქუთაისში, არამედ მთელ კავკასიაში და მთელ რუსეთშიაც.

რამდენათ მეტი დრო გადის დღიდან საერთაშორისო ომში რუსეთის ჩაბმისა, იმდენათ იზრდება ამ იმპერიაში ძარცვა-გლეჯა, შანტაჟი, მექრთამეობა, ყაჩაღობა, ქურდობა და სხვა სოციალური ბოროტება. ჯერ კიდევ შარშან, ომის ერთი წლის შემდეგ, სატუსაღოთა უფროსები მრავალი მხრიდან მოხსენებას გზავნიდენ მთავარ სამმართველოში და მოითხოვდენ სატუსაღოების გაფართოებას არსებულის ერთობ გავსების გამო.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ყოველი ჯურის მძარცველი შერჩეულ დროს ეძებს თავის მოქმედების გასაფართოებლათ და ომიანობის ხანა კი, როცა ცოცხალი და საღი ელემენტები ბრძოლის ველზეა და დანარჩენი ხალხი თვითმოქმედებას მოკლებულია, საუკეთესო შერჩეული დრო არის საზოგადოების ნაძირალთა საპარპაშო ისინიც პარპაშობენ.

მაგრამ ქუთაისი კიდევ უფრო განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოემწყვდა. ის, რაც აქ ხდება, გამონაკლისი და არა ჩვეულებრივია თვით ამ საერთო მძარცველობის ქვეყანაშიაც. თუ სხვაგან ქურდ-ბაცაცები და ყაჩაღები, როცა თავის საქმეს პრაქტიკულათ ახორციელებენ სადმე, გარბიან ტყეში, ემალებიან ხალხის რისხვას, საზოგადოებრივ აზრს, აქ, ქუთაისში ამისი არ ეშინიათ. აქ თავისუფლათ იტაცებენ ცხვრებს კი არა მინდვრებიდან ვაჟკაცებს ქალაქის უმთავრეს ქუჩიდან და მეორე დღეს თავისუფალ ვაჭრობას მართავენ მათ პატრონებთან. ბოლოს ფულს მიიღებენ და მოტაცებულს აბრუნებენ. ეს ხდება საგუბერნიო ქალაქში, საზოგადოებისა და წესიერების დამცველთა ცხვირის წინ.

ჩვენ გაზეთში მოთავსებულ იგას წერილზე მთელი ქუთაისი მხოლოდ ერთს იძახდა: „სრული სიმართლეა“ სრული სიმართლეაო“. და მართლაც, საზოგადოებაში ყველაფერი იციან, მაგრამ ხმა ვერ ამოუღიათ და ვერ ამოუღიათ იმიტომ, რომ მძარცველთ ხელი გახსნილი აქვსთ. და ეს იმ დროს, როცა საზოგადოება ყოველივე ძალა-უფლებას და მფარველობას მოკლებულია, საზოგადოების აქტიური ელემენტები თვით შევიწროებულნი არიან, ამიტომაცაა, ქუთათური შანტაჟისტები სრულიად თავისუფლათ გრძნობენ თავს და საიდუმლოების საჭიროებასაც ხშირათ ივიწყებენ. მაგ. ისინი გოგიელის გატაცების მეორე დღეს თავისუფლათ აცხადებდენ ქუჩებსა და ბულვარში, რომ გოგიელი შეცდომითაა წაყვანილი, რომ ის საამისოთ მდიდარი არაა და მისი ფასი რა უნდა მისცეს, რომ მას გამოუშვებენ ჩქარა და სამაგიეროთ წაიყვანებენ იმას, ვინც უნდათო. და მართლაც, გოგიელს ათავისუფლებენ და მიჰყავთ ვაჭარი ზვიადაძე, რომელიც დღეს უკვე თავისუფალია. მე არ ვიცი რამდენათ ცოტა მისცა გოგიელმა ან რამდენათ აუნაზღაურათ ორივეზე დახარჯული „შრომა“ შანტაჟისტებს ბ ნმა ზვიადაძემ, ხოლო ერთი ცხადია: შანტაჟისტებისაგან ბულვარში აღარ გამოსულა ბედის მომდურავი ხმა, არამედ ლაპარაკობენ: უხაროდეს კლუბისტ-რესტორანისტებს, საქეიფო სათამაშო თანხა შეემატათო.

ზევით უკვე მოგახსენეთ, თუ რას აკეთებს ამ დროს ის, ვისი მოვალეობაცაა შანტაჟისტთა თავაშვებულობის ბოლოს მოღება, ხოლო არ იკითხავთ რას აკეთებს ქალაქის სამმართველო, რომელიც ერთად ერთი საზოგადოებრივი უფლებიანი დაწესებულებაა და რომლის მოვალეობაა ასეთ დროს თავს იდვას ინიციატივა და შესაფერათ ებრძოლოს დასახელებულ ბოროტებას. ესენი სრულ უმოქმედობას იჩენენ, თითქოს არაფერიც არ ხდებოდეს მათ გარშემო, თითქოს გატაცება ჩვეულებრივი და აუცილებელი მოვლენა იყოს. კიდევ მეტი, როცა მათ ეს ამრჩევლები მოაგონებენ მოვალეობას, როცა მათგან მოითხოვენ და სიტყვას მიიღებენ კრების მოწვევაზე, მას შემდეგაც ივიწყებენ მიცემულ სიტყვას და განაგრძობენ მთქნარებას. ასე, მაგალითად ბ-ნ ზვიადაძის გატაცებით აღშფოთებული მცხოვრებნი მივიდენ 3 სექტემბერს და გადაჭრით მოითხოვეს სპეციალური კრების მოწვევა. ესე-

---

ლიტარატურული ზნე და წესი. მოპირდაპირის დაუმსახურებლად, უსამართლოდ რეაქციონერად, რეტროგრადად, შავრაზმელად და სხ. მონათვლა ჩირად უჩანსთ. იმავე დროს თვითეული კალმოსანი, სულ ერთია, აქვს თუ არა ცოდნა ან ნიჭი, თავის თავს გენიოსად აცხადებს. გაიხსენეთ თუნდ პაოლო იაშვილისა და მისი ამხანაგების „პირველთქმა“! ასე გასინჯეთ, ჩვენს მეისტორიეთაც კი შეაქვთ ხოლმე პირადი გულისთქმა თავის მეცნიერულ ძიებაში.

პოეტები, კრიტიკოსები, ორატორები და საზოგადო მოღვაწეები განდიდების მანიით შეპყრობილი არიან და ხშირად უფრო სახელისათვის იღწვიან, ვიდრე თვით საქმისათვის.

ორიოდე ლექსის შემთხვზელს სახე ჩაილდჰაროლდივით ჩამოუბურავს და იმდენად გაკადნიერებულა, რომ საზოგადოებისგან თაყვანისცემას თხოულობს.

ლიტერატურულ კრიტიკოსს შეუძლია მეცნიერებისა და ფილოსოფიის არა იცოდეს-რა, იკითხოს სამაზრო ქალაქის ქალიშვილივით მხოლოდ მოთხრობები და სწეროს მათი უბრალო შემოკლებანი: მაინც კრიტეკოსის სახელს მოიხვეჭს და მწერლად და საზოგადო მოღვაწედ შეირაცხება.

ერთი სიტყვით, დაფნის გვირგვინის მოპოებისათვის აღარც ცოდნაა საჭირო, აღარც ნიჭი და მეტადრე აღარც გულწრფელობა.

და კალმოსანთა რიცხვი სოკოსავით გამრავლდა. რომ იცოდე, მკითხველო, რამდენი ლიტერატურის წმინდა საკურთხევლის შემარცხვენელი და შემაგინებელი?!

დაგვიდგება კი ის ნეტარი დრო, როდესაც ქართველი ლესსინგი ჩვენს ლიტერატურას ამ სამარცხვინო ტყვეობისაგან განათავისუფლებს?!

სად უნდა ვეძიოთ ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზები? ცხადია, ჩვენი ცხოვრების სათავეშივე: ახალთაობის აღზრდა არა წარმოობს წესიერად.

ძველად მშობელი შვილს დედის ძუძუსთან ერთად უნერგავდა ზნეობას, რადგან მოპარვა, კაცთ კლვა, უფროსთა ჩაუგდებლობა, მოძმეთა გაუტანლობა და სხ. დიდ ცოდვად მიაჩნდათ.

დღეს კი, როგორც შეძლებულისა. აგრეთვე მდაბიოს ოჯახი მოზარდ თაობას ზნეობის შესახებ აღარაფერს ეუბნება და ხეპრედ, ველურად ზრდის.—

მეორე მხრით, ოჯახში გაველურებულ ბავშს არც სკოლა აწვდის შესაფერს ზნეობრივ საზრდოს.

ევროპაში სკოლებში ზნეობის კატეხიზმოს ასწავლიან. ჩვენი მასწავლებლები კი, ოღონდა მოსწავლეებს გაკვეთილები გააზეპირებინონ, მათი ზნეობრივად აღზრდისათვის ძალიან თავს არ შეიწუხებენ ხოლმე ზნეობრივი კატეხიზმოს სწავლება ხომ სრულიად უცხო, უცნობი ხილია.

იმავე დროს სწავლა, როგორც სახალხოს, აგრეთვე საშუალ სასწავლებლებში სქოლასტური, უნიადაგო, არარეალურია.—

ვისაც სოფლის სკოლა დაუსრულებია, აღარც მუშად ვარგა და არც სხვად რამე. ეგრეთწოდებული უმაღლესი პირველ დაწყებითი და ექვსკლასიანი საქალაქო სკოლები ცხოვრებასთან მოუმარჯვებელს აუარებელ ახალგაზრდას ზრდიან ამგვერსავე ახალგაზრდებს ამრავლებენ საშუალი სასწავლებლებიც, ე. ი. გიმნაზიები, სემინარიები, რეალური სასწავლებელები და სხ.

ბევრი გვყავს დიპლომიანი, მაგრამ თითქმის არავინ ნამდვილის, რეალური ცოდნით აღჭურვილი.

არა გვყავნან განათლებული ვაჭრები, მეურნეები, მრეწველები, ხელოსნები, ე. ი. საჭიროცოდნით შეიარაღებულნი და, მაშასადამე, ცხოვრებასთან მომარჯვებულნი.

სამწუხაროდ, უნიადაგო, ფუჭის, სქოლასტური აბდაუბდით დამახინჯებულთა რაოდენობა თანდათან მატულობს. სწორედ აქ მარხია ჩვენი ცხოვრების უკუღმართობისა და სიდუხჭირის მიზეზი.

მაშასადამე, თუ გვსურს, ჩვენი საზოგადოება ხსენებულ ჭირთაგან განიკურნოს, უპირველესად სწავლის სისტემა უნდა განვახლოთ და ძირიანად შევსცვალოთ. ე. ი. უნდა მივაწოდოთ მოზარდ თაობას ქვის წილ პური ანუ საქოლასტიკის ნაცვლად ნამდვილი, რელური ცოდნა.

რატომ არ შეიძლება, მაგალითად, სასოფლო სკოლაში სხვადასხვა ხელობისა და მეტადრე მეურნეობის სწავლება?!

რატომ არ შეიძლება საქალაქო სასწავლებლებსა, გიმნაზიებსა, და სხ იმავე ხელოსნობისა, მეურნეობისა და თუნდა ვაჭრობის პრაქტიკულად სწავლება?! და რატომ უნდა იყოს საშუალი სასწავლებლის კურსის დამასრულებელი ცხოვრებაში სრულიად უმწეო, უნიადაგო და მოუმარჯვებელი?!

დროა შევიგნოთ აღზრდის სისტემის განახლების საჭიროება, თუ გვსურს ბოროტება ძირიანად აღმოიფხვრას და ცხოვრებამ ახალი გზა გაიკვლიოს.

ვასილ წერეთელი.

ვე სთხოვა 4 სექტემბერს მათ ვაჭართა კრებამ, სადაც ქალაქის თავის მოადგილემ საჯაროთ განაცხადა: ხვალ, ორშაბათს, გვექნება საბჭოს კრება, სადაც არა-ხმოსნებსაც გსთხოვთ დაესწროთო, ხოლო ორშაბათს, როცა მონაწილე ნოქრები და ზოგი ვაჭრები მოვიდნენ, სამართველოს კარები დაკეტილი დახვდათ. სამშაბათს შეკითხვაზე კი გამოირკვა, რომ სერიოზულათ ეს კითხვა არც დასმულა ჯერ მათ კრებაზე.

ხოლო ამის გამო შეიქნა ისეთი ატმოსფერა, სადაც ცხოვრებას ვეღარავინ ბედავს და ბევრი ვაჭარი სერიოზულათ ფიქრობს საქმის ლიკვიდაციაზე და სადმე გადასახლებაზე ბევრ მათგანს უკვე ნერვები აშლია და მოსვენება აღარ აქვს. ასე, მაგალითად, ვაჭარს ბ—ს ამ დღეებში რამდენჯერმე დაუფეთებია ცოლშვილი: შუაღამისას მძინარე აუვარებულა, ლოგინიდან გადმომხტარა და გაქცევა დაუპირებია და როცა ცოლშვილი შემოხვევია, უჩაღებიათ მოჩვენებია და ხელიდან გასხლტომა მოუნდომებია. ძლივს მოუყვანიათ გონზე სიზმრისაგან შეშფოთებული ადამიანი.

ნუ თუ დიდხანს უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? ნუ თუ ისევ ქუთაისის მუშებმა უნდა აიღონ ინიციატივა და უნდა გაიღონ მსხვერპლი შანტაჟისტთა ასალაგმავათ?

ასეთი მაგალითი ბევრია ქუთაისის ბოლოდროინდელ ისტორიაში. საკმაოა გავიხსენოთ 1907 წელი, როცა ჩვენებურ ანარქისტთაგან გადასროლილმა ფრაზამ—ერთი ქურდის გაზრდა უფრო სასარგებლოა, ვიდრე ცხრა პროფესორისო—შესაფერი ნაყოფი გამოიღო ქუთაისში. აი იმ დროსაც ყველა სდუმდა, ან სხვა საქმით იყო გართული, ხოლო მცარველები ისე გათამამდნენ, რომ გატაცებაც ზედმეტათ მიაჩნდათ: შევიდოდნენ მაღაზიაში რევოლვერით ხელში და ეტყოდნენ „ან ფული, ან სულიო“ და ვაჭრებიც საჩქაროთ აძლევდნენ შეწერილ ფულს. იმ დროსაც ყველა ეს ვერ მოითმინა ქუთათურ მუშათა დევნილმა ორგანიზაციამ, პირველათ ნოქრები შეებრძოლნენ მათ და მსხვერპლიც გაიღეს ამხ. გაბუნიას სახით (ოცხელის ნოქარი).

დღესაც ასევე უნდა მოხდეს. დღესაც ხმა უნდა ამოიღოს ისევ იმ ხალხმა, რომელიც ჯერ ისევ ერთად-ერთი სდგას ჩვენში კულტურულ მუშაობისა და თვით კულტურის დარაჯათ დღე, მათმა ენერგიულმა მუჯლუგუნმა აამოძრავოს სხვა კლასები და საზოგადოებრივი დაწესებულებებიც და ბოლო მოუღოს იმ საშინელ და თან სამარცხვინო მოვლენას, რამაც დამის არის წელში გასწყვეტოს უმისოთაც იდაჯ გაწყვეტილი ჩვენი საქმიანობა.*)

(თ. ა.)

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲓᲐᲜ.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გარშემო.

(დასასრული იხ. „სამშ“ № 436.)

ვაჭარი ბ. გ. ჯინჭარაძე ძლიერ დაახლოვებული მეგობარი იყო ბ. კ-ძის და სინდისიერი ვაჭარიც, სანამ უსიამოვნება მოუვიდოდა ბ. თავმჯდომარესთან და მაშინ კი, როდესაც ბ. ჯინჭარაძემ ფიცქვეშ უჩვენა სიმართლე სასამართლოში და ამ სიმართლემ მატერიალურად „დასაჯა“ ბ. კ-ძე, რომ ველარაფრით გადაუხადა, „დონოსი“ გაუგზავნა გუბერნატორთან, ვითომ ნიხრზე ზევით გაეყიდნოს ფქვილი და რომ გამოძიება არ დაენიშნათ და ბ. ჯინჭარაძის სიმართლე არ დამტკიცებულიყო, ადვილი შესაძლებელია 3000 მან. გადაეხდევინებიათ და ადმინისტრატიული წესით გადაესახლებინათ კიდეც ციმბირში.

შეიძლება მომავალმა კიდევ სხვა რამ გამოამჟღავნოს მისი ნამოქმედარი

ბ. კ—ძის მიუდგომლობას კიდევ ის გარემოება მოწმობს, რომ მან მფარველობის კალთა გადააფარა ამავე საზოგადოების მოლარეს ბ. დ. მ-ძეს, რომლის საქმენი საგმირონი მთელმა ოზურგეთმა წყალ ობითიცის. და მაინც თავის ადგილზეა ბ. კ-ძის ბ მ-ძეს საზოგადო საქმე და ბანკის მოლარეობის თანამდებობა ისე ესმის, როგორცთქვენ მორჩილ მონას ჩინური. მას თავის საკუთარ ოჯახში ჰგონია თავი და ვისაც როგორ უნდა ისე მიიღებს: გალანძღავს, შეურაცხყოფს ბანკის კლიენტებს (ინციდენტი ქალაქის აფთიაქის პროვიზორ ბ. ვლ. სულაქველიძესთან, მასწავლებელ ერქომაიშვილთან) და სხვ... როგორც მოლარე, ბ. მ—ძე ვალდებულია იქონიოს ბანკის კლიენტთა საჭიროებისთვის ფოსტისა და ღერბის მარკები, თამასუქის ბლანკები, მაგრამ ის გაურბის ამას, ან გარიშს თავი ვერ გავართვიო; თავის მართლებაც ასეთი უნდა!

ყველა ეს წვრილმანია, რომ სხვა უფრო ღირს შესანიშნავი არ იყოს: შარშან თუ შარშანწინ ბანკის ერთმა კლიენტმა (იმ დროს გამგეობის წევრმა) ბ. დ. ვასაძემ ფული შეიტანა მიმდინარე ანგარიშზე და შეცდომით 10 მან. გადააყოლა ბ. მ—ძეს; მაშინვე და მეორე დღეს დახლის შემოწმების შემდეგ ბ. მ—ძემ უარი უთხრა.—ზედმეტი არ აღმოჩენილაო, გადის 7—8 თვე, ბ. მ—ძეს უთანხმოება მოსდის ვინმე მახარაძესთან საზღვარზე მიჯნის შესახებ და ბ ვასაძე ამტყუნებს მახარაძეს და ბ. მ—ძის სასარგებლოდ ლაპარაკობს; ბ მურვანიძეს მხოლოდ ახლა „გაახსენდება“ (?!) ვასაძის მიერ 7—8 თვის წინედ გადმოყოლებული 10 მან. და უბრუნებს უკანვე. მეორე შემთხვევა: ვაჭარმა ბ. შ. ცერცვაძემ ერთ კვირა დღეს 500 მან. გადასცა ბ. მ—ძეს მიმდინარე ანგარიშზე ჩასაწერად; ბ მ—ძემ ხელიც მოუწერა საანგარიშო წიგნაკში, რომ ფული მივიღეო, მაგრამ მეორე (ორშაბათს) დღეს „დაავიწყდა“ (?!), რომ წიგნებში ჩაეწერინებინა ბუღალტრისთვის და მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ბ. ცერცვაძემ ჩეკით მოიკითხა თავისი ფული, აღმოჩნდა, რომ ბ. მ—ძის ჯიბეში განისვენებდა ეს 500 მან. საკითხავია: რას ფიქრობდა ბ. მ—ძე, როდესაც მთელი ორი კვირის განმავლობაში დალხის შემოწმების დროს ემატებოდა ასეთი დიდი თანხა!?

მესამე შემთხვევა: ამ საზოგადოების ბუღალტერად ნამყოფ გ. მუმლაძეს დააბრალა 35 მან. გადმოგაყოლე საკომისიო თამასუქებით შემოსულ ფულზეო და თვით გამგეობის წევრმა ბ. რ. ჩხაიძემ შეუმოწმა დახლი და იქ კი აღმოჩნდა „გადაყოლებული“ (?!) 35 მან.; კვალად ორდერების გადამალვას აბრალებდა იმავე ბუღალტერ ბ. მუმლაძესა და მის თანაშემწეს და ესენიც აგრეთვე მეორე დღეს თვითონ მოიტანა სახლიდან.

ომის გამოცხადებისას ბანკის დახლში 75 მან. ოქროს ფული დარჩა; თვით გამგეობამ და საბჭომაც იცის, რომ ეს ფული კლიენტისათვის არ მიუცია ბ. მ—ძეს და ეჭვი არ არის ან სახში წაიღო თვითონ, ან სპეკულიაციით გატაცებულმა ზედმეტ ფასში გაყიდა და მოგება თვითონვე ჩაჯიბა.

განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ თავიანთ ადგილზე არ ბძანდებიან არც ბ თავმჯდომარე და არც ბ. მელაძე. (?!)

ამ ნიადაგზე ბ. მ—ძესა და ყოფილ ბუღალტერ ბ. მუმლაძეს შორის კიდეც იჩინა თავი უთანხმოებამ და ბ. მუმლაძემ ერთხელ სარევიზიო კომისიის წევრთა თანადასწრებით საეჭვო და არა საიმედო პირი უწოდა ბ. მ—ძეს, რაზედაც ბ. მელაძე სასამართლოში ჩივილით დაემუქრა, მაგრამ მას შემდეგ 6—7 თვე მიდის, ბ. მუმლაძე ბაქოს გადავიდა სამსახურში და დღესაც ელის, რომ მიიღოს უწყება: ბ. მ—ძემ ღირსეულად გადაუხადა დამსახურებული შეურაცხყოფა

საზოგადოების საბჭოს მოვალეობაა შეამოწმოს მოყვანილი ფაქტები და დღესვე მოაცილოს ბანკს ორივე შეუფერებელი პირი და თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ საზოგადოების 30 წევრს შეუძლიან (წესდების ძალით) მოითხოვოს საზოგადო კრების მოწვევა და მათი საჯაროდ გასამართლება და ბანკის გაწმენდა არა სასურველი ელემენტებისაგან.

ა.

## ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

(პასუხად მღ. იოილ ფანჩულიძეს. იხ. გაზ. „სამშობლო“ 1916 წ. № 431).

(იხ. „სამშობლო“ № 438).

არის ამისთანა მაგალითებიც, რომ შემთხვევის დროს ხალხის დაუპატიჟებლობას სირცხვობენ და ხალხს მოიწვევენ; მაგრამ რომ ბევრი არა დაეხარჯოსთ რა, ხორცს ნახევრათ ხარშავენ, ღვინოში შაბიაბანს, ნიგვზის ძირის წვენს, თამბაქოს წვენს, ან სხვა რაიმე მავნე ნივთიერებას ურევენ. ხალხი ვერ ეკარება უვარგის სასმელ-საჭმელს და უსიამოვნოთ ბრუნდება შინ. ამნაირად, ხალხი ერთი უკიდურესობიდამ მეორე უკიდურესობაში ვარდება და რომ ქრისტიანს ქრისტიანული წესი არ მოაკლდეს, მიცვალებულთა ურმით გატანა არ გახშირდეს და უაზრო ხარჯებსაც ხალხმა თავი დააღწიოს, საჭიროა სამღვდელოების მხრით ენერგიული მუშაობა ამ საქმეში.

ტყვილად შიშობენ ზოგნი (მაგ. თედო ჟორდანია და სხვა), რომ საკურთხ-აღაპების მოსპობა ვითომც სარწმუნოებას შეასუსტებსო. ყოველივე მავნე ჩვეულების და წესის მოსპობა, რომელიც სარწმუნოებასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული, მხოლოდ მინამდის საშიში, სანამ მის მოსასპობად ნიადაგი არაა მომზადებული. მაგრამ როცა საკითხი მომწიფებულია და ნიადაგიც მომზადებული, მაშინ ამ ჩვეულებათა მოსპობას სარწმუნოების მხოლოდ გასპეტაკება შეუძლია და ვნება კი არავითარი. მათმა მოსპობამ შეიძლება ხალხი ცოტა შეაწუხოს, შეაწუხოს, მაგრამ ხალხი მალე ურიგდება მათ მოსპობას და წესიერებას ეჩვევა. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს:

1) ეპისკოპოსმა ლეონიდმა იმერეთში მსახურების დროს სამღვდელოთა განკარგულება დაუგზავნა ბლაღოჩინებს ზარის მოსპობის შესახებ. ამ განკარგულებით ხალხი ცოტა შეაწუხა, ს. ზოვრეთში უსიამოვნებაც კი მიაყენეს თვით მღვდელმთავარს, ჩვენს მიცვალებულებს ჩვენს ნებაზე არ გვატირებო. მაგრამ გავიდა დრო დღეს ხალხს სასაცილოდაც არ ეყოფნის ზარის მოგონება: „რას ვამბობდით, რა მაიმუნობას ჩავდიოდით; ვისაც კი ეტირება, ზარი რა საჭიროა, ღმერთმა აღდეგრძელოს მისი მომხსენიებით და სხვა.

2) ერთ დროს ჩვენში ფილოქსერამ ვენაჯები გაანადგურა და საშველი არსაიდამ სჩანდა. შემოიღეს შაბიამნით წამლობა. შეგნებულ პირების გარდა, ხალხი გაურბოდა ამ წამალს: „ბატონო! რავა ღმერთი არ გვიწყრება! ვის გაუგონია ვენახის წამლობა?! თუ ღმერთს ჩვენთვის რამე სწადია, მოგვცემს და ძალით კი როგორ შეიძლება და სხვა. გავიდა დრო და ხალხმა ისე შეიყვარა მის მიერ დაწესებული წამალი, რომ დღეს მხოლოდ იმას გაიძახიან, რომ შაბიაბანი გაძვირდა, აღარ იშოვება, ვენახები გვეპრობა და სხვა.

3) ერთ დროს ყვავილისაგან მრავალი ხალხი იხოცებოდა, ვინც გადაურჩებოდა ამ სენს, ისიც სრულიად დასახიჩრებული. შემოიღეს ყვავილის აცრა. ხალხი პირდაპირ გაურბოდა აცრას, ამცრელებს ემალებოდნენ, ბატონებს ეწყინება, ბატონები გაგვირისხდებაო. გავიდა დრო და დღეს ხალხი მხოლოდ იმას გაიძახის, რომ თავის დროზე ამცრელები არ მოუდისთ სოფლად, რომ მთავრობა მათზე არ ზრუნავს და სხვა.

ვგონებ ასე იქნება საკურთხ-აღაპების მოსპობის შესახებაც. პირველ ხანებში ცოტაოდენი საყვედური და შემდეგ კი დიდი მადლობა. თან ხალხი წელში გაიმართება, ვალებს თავს დააღწევს, ეკონომიურათ გაღონიერდება და ვისაც მიცვალებულთათვის გული შესტკივა, იგინი ნაცვლად უზომოდ უაზრო ხარჯებისა, ცოტაოდენ წვლილს მაინც გაიღებენ მიცვალებულთა სახსოვრათ საზოგადო და ხალხისათვის საკეთილდღეო საქმისათვის. ეკლესიები ღარიბი და ცარიელია, სკოლები უნუგეშო მდგომარეობაში არიან, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, საქველმოქმედო საზოგადოებას და სხვათა მრავალთა კეთილ დაწესებულებათა შემწეობა სჭირია; არ გვაქვს ეროვნული ფონდი, რის გამოც ჩვენი მიწა წყალი, ჩვენი ავლა დიდება უცხოელებზე გადადის და სიკეთე ხელიდამ გვეცლება. რა კეთილდღეობას მოვესწრებით და რაზომ გაიხარებენ ქართველ მიცვალებულთა სულნი, რომ მათ სახსოვრათ, ნაცვლად საკურთხ-აღაპებისა და უაზრო ხარჯებისა, თითო ოროლა გროშს გვიმეტებდეთ ჩვენსავე საკეთილდღეო დაწესებულებათა სასარგებლოდ?!

ამ მოსაზრებათა მიხედვით და ჩემის ღრმა რწმენისა გამო, რომ საკურთხ-აღაპების მოსპობას, ამ პირველი შეხედვით სულ მცირე საქმეს, დიდი გაუმჯობესების შეტანა შეუძლია ხალხის სარწმუნოებრივად ეკონომიურ მდგომარეობაში, მე მუდამ ვსცდილობდი და ვსცდილობ საკურთხ-აღაპების მოსპობას.

მღ. იასონ აბესაძე.

(შემდეგი იქნება).

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

რუსეთის რამდენიმე სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში მრავალი თხოვნა კონკურს გარეშე მიუღიათ, მათ შორის ებრაელებიც.

რუსეთის ქალაქებში ყველგან სცდილობდენ გაჭირვებულ სტუდენტების მდგომარეობა შეუმსუბუქონ და ამ მიზნით იაფ სასადილოებს აარსებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრათ აქვს ბესარაბიაში მცხოვრებ ბოშათა (ციგანთა) აღწერა მოახდინოს და ყველა მოვალეობა, რომელიც მოეთხოვება რუსეთის მოქალაქეს, მათაც მოახდევინოს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 586 ათასი მან. გადასდო სახელმწიფო სათათბიროს მომავალ არჩევნების საწარმოებლად

ყოფილ სამხედრო მინისტრის გენ. სუხომლინოვის საქმის გამოძიება სრულიად დამთავრდა. და ღვინობისთვის ბოლოში მისი გასამართლება დაიწყება.

ქ. მინსკში ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე მოგილიევში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

მოსკოვის ღვთისშობლის მიძინების ეკლესიიდან 3000 მანეთად ღირებულ სხვა დასხვა საგნები მოუპარავთ. ქურდი დაუჭერიათ.

პირველ 4 ოკტომბრისთვის რუსეთის შაქრის ქარხნებში 21 მილიონი ფუთი თავი შაქარი ყოფილა და 4 მილიონი ფუთი ფხვნილი.

დონის როსტოვის ქალთა მედიკურ უმაღლეს კურსებზე პროფესორებს თითო საათის ლექციაში 350 მან მოუთხოვიათ ნაცვლად წინანდელ 200 მანეთისა. ამის გამო კურსების გამგეობას სწავლის ფასი მოუმატებია. ამიტომ ბევრმა მსმენელმა ქალმა სწავლას სრულიად თავი დაანება.

## ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

**ს. საჩხერე** (შორ. მაზ). ს. საჩხერეში საშინელი ცეცხლი გაჩნდა და 120-დე მოსახლე ებრაელი დაიწვა. ამ 120 მოსახლე ებრაელებმა დეპუტატები აირჩიეს ფულის მოგროვებლათ: ბ-ნი აბრ. მიხეილის ძე კიკოზაშვილი თავადი პეტრე წერეთელი და საჩხერის მოსამართლე სხვადასხვა დაბა ქალაქებში მეოფ ებრაელებმა და ქართველებმა დიდი დახმარება გაუწიეს: ქუთაისლებმა შეაგროვეს 500 თუმანი, კულაშელებმა (სენ. მაზრა) 800 მან. სუჯუნელებმა (სენაკის მაზრა) [illegible] მანეთი ბანძელებმა 800 მანეთი, [illegible] მან. სურამიდან მოვიდა [illegible] გრადიდან 300 მან.

ამდენ ფულიდან 500 მანეთის მეტი არა სჩანს და დაზარალებული ხალხი კი აუტანელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და დროზე უნდა მოახმარონ ეს ფული დანიშნულებისამებრ.

ელეფთერ ცომაია.

რედაქტორი **Ი. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.**
გამომცემელი ამხან. „**ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ**“



**ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს 3 | „ |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

**ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲫᲛ. ᲣᲠᲣᲣᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ**

**ა ბ ა ნ ო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, სიყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

**ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲡᲣᲡᲣᲜᲐᲢᲘᲗ**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **Პ. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲤᲗᲘᲐᲥᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერდგულესი **ᲘᲐ Ნ. ᲙᲝᲚᲔᲒᲝᲕᲘ.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

*) იხილეთ გუშინდელ „სამშობლოს მეთაური. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვასწორებთ ამ მეთაურში შეპარულ კორექტორულ უმთავრეს შეცდომებს: მესამე გვერდზე 1 სვეტის 1 სტრიქონში დაბეჭდილა პეტროგრადისა უნდა იყოს რეტროგრადის. ამავე სვეტში მე 22 სტრიქონში დაბეჭდილია ხალხისთვისთვის—უნდა იყოს ხალხისთვის და სხ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან